ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4533924

ნომერი: AR1684672

თარიღი : 31.05.2019

გაცემის თარიღი : 06.06.2019

გაცნობის თარიღი : 06.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვ.09/013);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა მეზვრიშვილი პ/ნ 01028000222
- თბილისი აეროპორტის დას. კორ. 44 ბ. 10

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3089589
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 23.02.2017

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასაწყობო შენობა ნაგებობა და დამხმარე საყარაულოს ჯიხური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბი დავითულიანი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. „არქი-მედი +“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 444957469

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს საქაერონავიგაცია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208144051
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გოჩა მეზვრიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01028000222

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 6919.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 470.31
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 454.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 8.5
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 419.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 26.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3243.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2628.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 615.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.15
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3706944
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.10.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.
დააფიქსირეთ 3706944 29/11/2017

2.საინფორმაციო დაფა - ბანერი.
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

•შენობა-ნაგებობის მისამართი;
•შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
•მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
•განაცხადის განხილვის ვადები (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
•შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
•ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

-ბანერის ფოტოები უნდა იყოს დათარიღებული დღეის მდგომარეობით

-საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი

3.სატიტულო ინფორმაცია. -> .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: წარმოადგინეთ ედიშერ ლორიას თანხმობა პროექტის კორექტირებასთან და მთავარი არქიტექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით დამოწმებული სახით

4.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
სამსახურში დაცული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მშენებლობა უკვე ნაწარმოებია და სურათები კი გადაღებულია განსხვავებული კუთხით. შესაბასმისად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 63 - ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მშენებლობა დარღვევითაა ნაწარმოები პროექტის კორექტირების სტადიაზე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით საჭიროა წარადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციიდან დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევაზე და შესაბამისი სანქციის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ასევე წარმოადგინეთ განახლებული სურათები დღეის მდგომარეობით დათარიღებული ობიექტების ჩვენებით.

5.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მიუთითეთ საანგარიშო ციფრი

6.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
წარმოადგინეთ როგორც შეთანხმებული, ასევე საპროექტო შენობების კ2 საანგარიშო კროკები შესაბამისი ექსპლიკაციებით

7.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : დააფიქსირეთ 3706944 (4079143 19/07/2018)

8"მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის

№17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.